# ქართული აზრი

„ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენათაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე“.

**აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.**

№ 83 | ნიუ იორკი, აპრილი 1970 წ. | GEORGIAN OPINION | NEW YORK. APRIL 1970


**ნიუ იორკი, აპრილი 1970 წ.**

## „სამამულო ომი?“

(საკითხის გარჩევის წესით)

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოში, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ 1970 წლის 13-ის ნომერში, მოთავსებულია მოწოდება მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ქართველ ვეტერანთა შემდეგი სახელწოდებით: „უმნოჟატ ტრადიცii ბოევოი სლავი“. ამ სტატიას ხელს აწერენ ომის მონაწილე ქართველი მეთაურები, თადარიგის გენერალ-ლეიტენანტი და საბჭოთა კავშირის გმირი ვ. ჯანჯღავა და მთელი რიგი სამხედრო მეთაურებისა, რომელთა გვარების და სახელების მთლიანად ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანდა.

ამ მხედრების კოლექტიური სტატია გაზეთ „ზარია ვისტოკაში“ დაკავშირებულია მეორე მსოფლიო ომის დამთავრების, ან როგორც ისენი ამბობენ, საბჭოთა კავშირის გამარჯვების მოახლოვებულ 25-თი წლის იუბილესთან.

ქართველი საბჭოთა მეთაურები წერენ შემდეგს: „თვითეული ჩვენთაგანი, რომელიც ამ სტრიქონებს ხელს აწერს, მონაწილეობდა სამამულო ომში, დღიდან მისი დაწყებისა, გამარჯვების საზეიმო გასროლამდე, ესე იგი 1945 წლის მაისამდე . . .“-ო

არსებითად აქ გვინდა შევჩერდეთ, რადგან მერე ლაპარაკია სულ ლენინზე, რომელიც მთელი წელიწადია მისი სახელის ხსენება და დაუმთავრებელი ქება-დიდება, მოსაბეზრებელი გახდა ყველასათვის, ჩვენთვისაც და თქვენთვისაც პატივცემულო თანამემამულენო.

ჩვენი წერილიდან გვინდა გამოვყოთ სიტყვა „სამამულო ომი“ და მასზე შევაჩეროთ ჩვენი მკითხველის ყურადღება.

შეიძლება ეს ომი, სადაც ჩაბმული იყო საბჭოთა კომუნისტური იმპერია — საბჭოთა კავშირი; ჩვენთვის, ქართველებისათვის ჩაითვალოს სამამულო ომად? არა, და აი რატომ!

მამული, დედული, ან მამულ-დედული — ეს არის ის ადგილი, სადაც დაიბადე, სადაც აღიზარდე, სადაც ფეხშიშველი ბავშვობისას, მთიდან მოვარდნილ მდინარის პირას, რიყეზე დატანტალებდი; სადაც პატარა ღელეში ლოდებსა კიპორჩხალებს იჭერდი; ქალაზე დაბმულ ცხენს აუშვებდი და რიყეზე მალაყს გადადიოდი.

მამულია ის, სადაც ჩვენი წინაპრების ძვლები მარხია, სადაც საუკუნეების მანძილზე ათასნაირ მოვარდნილ ქარიშხალს გადაუჯირითებია და ჩვენი წინაპრები ამ ქარიშხალს ზეალმართული ხმლით შეგებებია.

ჩვენი ერის აღმზრდელი, მისი სახელოვანი შვილი, პოეტი და მოაზროვნე, წამებული ილია ჭავჭავაძე, აი როგორ განმარტავს მამულს:

„მამული! რა ძვირფასია ეს სახელი; რა მძლავრად ჟღერს იგი ქართველი ადამიანის გულში! რა იქნებოდა ქართველი უმამულოდ! ამ სიტყვის ხსენებაზედა დიდი და პატარა, ქალი და კაცი თავისი ქვეყნის ნაღვლითა ნაღვლობს, ლხენითა ლხინობს . . . ამ სიტყვებში ყოველია და ყველაში ყველა არის!??.

ოდიდან ამ მამულს იცავდა ქართველი და ეს მამული ასე დაგვიხატა რაფიელ ერისთავმა:

„სადაც ვშობილვარ, გავზდილვარ,
სად მისროლია ისარი,
სად მამა-პაპა მეგულვის,
იმათი კუბოს ფიცარი,
სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ,
ჩემი სამშობლო ის არი . . .“

ამის შემდეგ, განა ყინულოვანი მურმანსკი, არხანგელსკისა და ვოლოგდის ოლქები, ბრიანსკის ტყე, თუ ციმბირის თვალუწვდენი ტრამალები ქართველი კაცის მამულია?

ამ, ე წ. სამამულო ომში, ქართველობა ძალით არის ჩაბმული. ასევე ძალით გვაბამდნენ ოდიდან თავიანთ ომებში არაბები, ბიზანტიელები, სპარსელები, მონღოლები . . . და განა მათი ომები მაშინდელი ქართველისათვის სამამულო ომი იყო?

„საქართველოც იძულებული იყო მთელი თავისი ძალით მონაწილეობა მიეღო მონღოლთა ბოლომოუღებელ ომებში. ასე, მაგალითად, 1246 წლიდან მოკიდებული, ქართველებს მონღოლთა ლაშქრობაში მამაკაცთა ოცი პროცენტი უნდა გაეყვანათ . . (იხ. ნ. ბერძენიშვილი და სხ. საქართველოს ისტორია, ტომი 1, ტფილისი, 1958, გვ. 228.)

სტატიის ავტორები დიდი რიხით სწერენ: „ჩვენმა რესპუბლიკამ (რესპუბლიკად აქ საქართველო იგულისხმება, ხოლო სამშობლოდ — საბჭოთა კავშირი. ასეთი კურიოზი ცარისტური რაჟიმის დროს არ ხდებოდა მგონი. შენიშვნა მ. ლ-სა), ფრონტს მისცა 600 ათასი თავისი ჭაბუკები — ვაჟიშვილები და ქალიშვილები . . . არ არის ქალაქი თუ სოფელი რომ ძეგლები არ იყოს აღმართული მათთვის, ვინც არ დაბრუნებულა“.

ეს დალოცვილები 600 ათას ისე რიხით გაიძახიან, თითქოს 600 ათასი ლიტრა ღვინო დაემზადებინოს საქართველოს და ამით სახელმწიფო გეგმა შეესრულებინოს.

საქართველო უშუალოდ არ ესაზღვრება არც ინგლისს, არც საფრანგეთს, არც გერმანიას, არც რუსეთს, მით უფრო საბჭოთა რუსეთს, **რომელსაც თავისი მსოფლიო** ამბიციები აქვს და ქართველობა სრულიად უმიზეზოდ ამ ამბიციას ეწირება, რაც სრულიად არ შედის საქართველოს ეროვნულ ინტერესებში. ჩვენი უშუალო მეზობელი თურქეთია, ხოლო მასთან ჩვენ 1941 წელს ომი არ გვქონია და ომიც რომ გვქონოდა, 600 ათასი კაცის გამოყვანა მაინც არ დაგვჭირდებოდა. 600 ათასი კაცი ჩვენისთანა პატარა ერისათვის სწორედ წარმოუდგენელი მსხვერპლის გაღებაა, მით უმეტეს, როცა ჩვენთვის არავის ომი არ გამოუცხადებია. ვინ გამოგვიცხადა ჩვენ, ქართველებს ომი 1941 წელს, ან ვის გამოუცხადეთ ჩვენ ომი, რომ ამოვწყდით ამ ორომ-ტრიალში?

ასეთი ჭირი ქართველ ერს არ მოვლინებია არასდროს, თვით მონღოლების ბატონობის დროსაც კი. ამ მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა მთავრობამ საქართველოდან გაიყვანა, როგორც იტყოდნენ ხოლმე ჩვენში, „ქუდზე კაცი“. არ დარჩა ოჯახი, საიდანაც არ გაეყვანათ მთლიანად მამაკაცები. სახლში დარჩნენ მხოლოდ უმწეო მოხუცები და მცირეწლოვანი ბავშვები და მერე რა მძიმე პირობებში, ცარისტული რუსეთის მთავრობა ო ჯ ა ხ შ ი ერთ მარჩენალს — მუშა-ხელს მაინც სტოვებდა.

მონღოლების დროს „ყოველ 9 სრულფუძიან გლეხს თითო მოლაშქრე უნდა გამოეყვანა“ — ვკითხულობთ საქართველოს ისტორიაში. (იხილეთ: ნ. ბერძენიშვილი და სხვები: საქართველოს ისტორია, ტომი 1, გვ. 231. გამოცემულია ტფილისში 1958 წ.), ხოლო „უაღრესად ჰუმანურმა“ და კაცობრიობის „სანუკვარმა სოციალიზმის“ ქვეყანამ, არამც თუ „ქუდზე კაცი“, უქუდოც არავინ დასტოვა სახლში.

ერთხელ, ლენინის დაბადების 100 წლის თავთან დაკავშირებით, გაზეთ „კომუსისტში“ ერთერთი საბჭოთა პუბლიცისტი, სწორად რომ ვქთვად პროპაგანდისტი სავსებით მოუფიქრებლად, როგორც ეს სჩვევიათ ხოლმე დაბალი კვალიფიკაციის პროპაგანდისტებს, დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ნოე ჟორდანიას შემდეგ „ბრალდებას“ უყენებს: „ნოე ჟორდანიას უნდოდაო საქართველოს მოწყობა შვეიცარულ წესზეო“. განა ცუდი იქნებოდა შვეიცარიის წესზე ცხოვრება? ასი წლით ბრძოლა დასჭირდა მის მამაც შვილებს და აუარებელი მსხვერპლის გაღება დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ,და რაც მთავარია, ქვეყნის სრული ნეიტრალიტეტისათვის. არა მგონია შვეიცარიასთანა ბედნიერი ქვეყანა სადმე იყოს დედამიწის ზურგზე.

საქართველოს 1921 წლის წყეულ თებერვალს, უბედური ბედი რომ არ წვეოდა, ჩვენი ქვეყანა აბსოლუტურად ნეიტრალური და შვეიცარიასავით ბედნიერი იქნებოდა. მაშინ არამც თუ 600 ათასი კაცისა და ქალის ბრძოლის ველზე, არამედ 60 კაცის გაწვევაც არ დაგვჭირდებოდა. რათქმა უნდა სამხედრო ძალას მაინც ვიყოლიებდით, თუ ვინმე მოინდომებდა ჩვენი ნეიტრალიტეტის დარღვევას, მაგრამ 600 ათასი?

600 ათასი ხომ საშინელებაა ჩვენთვის. რათქმა უნდა მათი ხსოვნა მარადიული უნდა იქნას თვითეული ქართველი ადამიანისათვის.

ე. წ. სამამულო ომის ქართველი ვეტერანების წერილში გვინდა ხაზი გაუსვათ აგრეთვე მათ მოწოდებას ქართველ ახალგაზრდა მწვევანდელებისადმი. ისენი მოუწოდებენ ქართველ მწვევანდელ ახალგაზრდობას მოიხადონ თავიანთი „პატრიოტული“ ვალი და დაეუფლონ რთულ თანამედროვე სამხედრო ტექნიკას და სხვ.

მაგრამ იბადება კითხვა: სად დაეუფლოს, ან სად უნდა მოიხადოს ქართველმა ახალგაზრდობამ სამხედრო ვალდებულება? ან რომელი ერის სამხედრო ტრადიციაზე უნდა აღიზარდოს იგი? როცა საქართველო დამოუკიდებელი იყო, ქართველი ახალგაზრდობა იზრდებოდა საქართველოში და მისი სამხედრო წვრთვნა დამყარებული იყო ქართულ სამხედრო ტრადიციაზე . . . და ტრადიციაც არ გვქონდა, ღმერთმანი ურიგო. პირველად მსოფლიოში მეფე დავით აღმაშენებელმა ჩაუყარა საფუძველი ქართულ რეგულარულ არმიას.

როცა საქართველო 1921 წელს რუსეთმა დაიპყრო და მას რუსულ კომუნისტური რეჟიმი თავს მოახვია, პირველ ხანებში არსებობდა ქართული წითელი არმია, მართალია, წითელი, მაგრამ მაინც ქართული. შემდეგ, დამპყრობელმა ესეც გააუქმა და ქართველი ახალგაზდები მიმოფანტეს რუსეთის თვალუწვდენ სივრცეზე.

მართალია, მეორე მსოფლიო ომის დროს, და ისიც მოგვიანებით, პოლიტიკური მოსაზრებით, მოსკოვმა ქართული დივიზიები ჩამოაყალიბა, მაგრამ მას მხოლოდ სახელი ჰქონდა ქართული. ქართველობა მასში 25 პროცენტს ძლივს შეადგენდა, ამას ისიც ადასტურებს, რომ ქართული შენაერთების გაზეთები რუსულ-ქართულ ენაზე გამოდიოდა. მათი რედაქტორების უმრავლესობა რუსები იყვნენ. ომი გათავდა და მოჩვენებითი ქართული დივიზიების არსებობაც ამით დასრულდა.

ჩვენი ეროვნული ტრაღედია მით უფრო რთულდება, რომ აღნიშნული სტატიის ავტორები კვლავ მოითხოვენ ჩვენი ახალგაზრდობისაგან „სამხედრო-პატრიოტულ“ აღზრდას; რათა საჭირო შემთხვევაში მზად იყვნენ რუსული იმპერიალისტული ზრახვებისათვის ახალი მსხვერპლი გაიღოს. ნუ თუ ამგვარი მოწოდების ავტორები ჩაითვლებიან ქართველ მამულიშვილებათ და მათ სახელებს ქართული შთამომავლობა მადლობით მოიხსენიებს?

**მინდია ლაშაური**

## ომი თუ ზავი?

საერთაშორისო მდგომარეობის თანამედროვე პრობლემებიდან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, საბჭოთა კავშირის და კომუნისტურ ჩინეთს შორის, დროებით მიყუჩებული (მოლაპარაკებების გამო), ესოდენ გამწვავებული ურთიერთობაა. დავის მიზეზი ბევრნაირია. ამას ამჟამად არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. დაპირისპირება და წინააღმდეგობა იმდენად ძლიერია, რომ მისი მშვიდობიანად გადაწყვეტა ყოველგვარ შესაძლებლობას აღემატება. ეს საკითხი კიდევ მით უფრო მნიშვნელოვანი არის, რომ საქმე ეხება არა იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის დავას, არამედ ორ დიდ კომუნისტურ ქვეყანას შორის ატეხილ განიადაგებულ კონფლიკტს, რომელსაც ბოლო არ უჩანს და სხვადასხვა ფორმით, ხან აშკარად, ხან ფარულად განაგრძობს არსებობას.

ბევრჯერ ითქვა და ეხლა მისი განმეორება შაბლონია, რომ კომუნისტურ სახელმწიფოთა შორის წინააღმდეგობა და შემართება, კაპიტალისტური ქვეყნების მსგავსი ოპოზიცია არამც თუ ეს შეუძლებელი არ არის, არამედ სინამდვილის და გამუდმებული ფაქტების წინაშე ვდგევართ. კრემლის მბრძანებლები დაბალ ლობეზე ადვილად ხტებიან, როცა საქმე ეხება პატარა ერებს (სულ უკანასკნელ ასეთ დაბალ ლობედ მიიჩნიეს ჩეხო-სლოვაკია), მაღალ ლობეზე გადახტომას კი გვერდს უვლიან, ან გაურბიან, ფრთხილობენ, კისერი არ მოიტეხონ. დიდი ჩინეთი არც ისეთი იოლი გასათელია, როგორც ჩეხო-სლოვაკია და ამიტომ, ვითომც დროის მოსაგებად, ჩინეთთან მშვიდობიან მოლაპარაკებას ამჯობინებენ, თუნდაც, ეს ხანგრძლივად გაგრძელდეს და უშედეგოთაც დამთავრდეს. ჩინეთთან ომით ანგარიშის გასწორება მარქსიზმ-ლენინიზმის ყაიდაზე, მისი დამორჩილება და საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობის წიაღში დაბრუნება საბჭოთა კავშირისათვის ცოტა სარისკო საქმე და სახიფათო წამოწყებაც იქნებოდა. მოსკოვის მეთაურებისათვის ეს გარემოება არც ისე ძნელი მისახვედრია და აქედან გამომდინარეობს მათი მერყეობის, ქანაობის რეციდივი, ერთ ადგილს ბორიალი; ხან მუქარა მაოს მიმართ, ხან მშვიდობიან ჰანგებზე მღერა.

თუ ვიმსჯელებთ თანახმად ეხლანდელი მდგომარეობის მიხედვით, საბჭოთა კავშირის და ჩინეთის დამოკიდებულება ძალზე დაძაბულია და მათი ურთიერთობა თანდათან მწვავდება, რომელიც შეუწყვეტელ საფრთხეს წარმოაგდენს მსოფლიოს მშვიდობისათვის, სოციალისტურ ბლოკს კი სრულს დაშლა-დანგრევას უქადის. ურთიერთ სიძულვილით აღძრული, ორი ძლიერი კომუნისტური სახელმწიფო, შორეულ აღმოსავლეთში და შუა აზიაში, მტრულად განწყობილნი, პირის-პირ სდგანან. შიგნით ორივე ქვეყანაში დიდი ხანია ერთმანეთის გასაბახებლად გააფრთებული კამპანია სწარმოებს. მათი პროპაგანდის მახვილი მიმართულია შესაძლებელ ომის ფსიქოლოგიურ მომზადებისათვის.

კონფერენციას, რომელსაც ხაბაროვსკში ჰქონდა ადგილი, საბჭოთა კავშირის და ჩინეთს შორის მდგომარეობა არც თუ მთლად გაუუმჯობესებია. მას არავითარი ცვლილება არ მოჰყოლია: ინციდენტი, რომელიც 13 აგვისტოს (1969 წ.) მოხდა, მხოლოდ ამის მაჩვენებელია. ის, რომ ხაბაროვსკის მოლაპარაკების მიზანი იყო მარტო ციმბირის მოსაზღვრე მდინარეებზე ნაოსნობის მოწესრიგება, ხოლო როცა ჩინეთის დელეგაცია დისკუსიის სიუჟეტის გაფართოვებას შეეცადა და როცა მათ მაშინვე დასვეს საზღვრების ხაზის ზუსტად გამიჯვნის საკითხი, საბჭოეთის წარმომადგენლებმა ამ საკითხზე მსჯელობის გაგრძელებაზე უარი სთქვეს, რის გამო ჩინეთის დელეგაციამ კონფერენციის დარბაზი დემონსტრატიულად დასტოვა. მეორე დღეს მოლაპარაკება მაინც განახლდა და სანაოსნო საკითხებზე ძალზე შეზღუდული მასშტაბით შესაძლებელი გახდა. მხოლოდ, როგორც წინად, ისე შეთანხმების შემდეგ, განწყობილების ატმოსფერო ფრიად დამძიმებული დარჩა, რადგან პრობლემები, რომლებიც მათ ურთიერთობას განსაზღვრავენ, მეტად ღრმა და გამოუვალია, ვიდრე ეს არის უბრალოდ მოსაზღვრე მდინარეებზე ნაოსნობის რეგლამენტაცია.

კონფლიქტის მწვავე მიზეზები, რომელიც ამ ორ დიდ სახელმწიფოს ერთი-მეორის წინააღმდეგ ყალყზე აყენებს, იდეოლოგიური დავის გარდა, მომეტებულად ტერიტორიული და დემოგრაფიული ხასიათისაა: ციმბირის მცირედ დასახლებული ვრცელი მიდამოები, რომელიც ერთ დროს ძველი ჩინეთის იმპერიის ფარგლებში შედიოდა. ამჟამად უშუალოდ ჩინეთის მეზობლად მდებარეობს, კომუნისტური ჩინეთი, რომელიც ჭარბი მოსახლეობის ქვეყანაა, არ ფარავს აშკარა განზრახვას ეს მხარე კვლავ დაიბრუნოს, რომ ამით დემოგრაფიულ ზრდას გასაქანი მისცეს. საზღვრების გადასინჯვაც მას სავსებით სამართლიანად მიაჩნია. ამავ დროს ძველი, კუთვნილი, მიწა-წყლის დაბრუნება რუსეთის ძალადობის და უსამართლობის გამოსწორებაც იქნებოდა. ჩინეთის კომუნისტური პარტიის მეცხრე ყრილობაზე წარგდენილ თავის მოხსენებაში ლიან შიაომ (პიომ) (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი, ე. ი. მაოს მოადგილე), კატეგორიულად უარყო წინანდელი უთანასწორო, ძალით თავზე მოხვეული ხელშეკრულებები, როგორც უკანონო, მან დაიმოწმა დეკლარაციის ის ადგილი (1920 წ. 27 სექტემბერი), საბჭოთა რუსეთის მიერ ჩინეთის მთავრობისადმი მიმართული, რითაც მეფის რუსეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიების გამო დადებული ხელშეკრულებები გაუქმებულად იყო გამოცხადებული. ლიან შიაომ, ამავე დროს გაიხსენა, რომ 1964 წ. წარმოებულ მოლაპარაკების დროს საბჭოთა კავშირმა უარყო წინანდელი ხელშეკრულებების უკანონობა და რომ ის ორ უთანასწორო მხარეებს შორის იქნა დადებული და ის ისტორიული ფაქტიც, რომ ამჟამად საბჭოთა კავშირის ფარგლებში მოქცეული ტერიტორიები, თითქოს ოდესმე ჩინეთის კუთვნილება იყო. საბჭოელებმა არც ის ფაქტი გაიზიარეს, რომ ეხლანდელ სტატუს-ქვოსაც კი არღვევენ, პირიქით, საბჭოთა დელეგაცია გულისწყრომას გამოსთქვავდა, რომ ჩინეთის წარმომადგენლობა შარზეა და უდაო საკითხს საცილობლად ხდის.

როგოც სჩანს, ორივე მხარე 1964 წ. შეური-

## ომი თუ ზავი?

(დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე)

გებელ პოზიციაზე დარჩა და მოლაპარაკებაც უშედეგოთ დამთავრდა; დროებით შეწყდა. რადგან არც ერთ მხარეს არ სურს რაიმე არსებით დათმობაზე წავიდეს. თუმცა საბჭოთა კავშირი და ჩინელები აცხადებენ, რომ საზღვრების საკითხი მშვიდობიანი გზით უნდა გადაწყდეს, იარაღის გამოყენება ორივე მხარისათვის საშიში იქნებაო. აქ დიპლომატიური ენა წყლიანობაა გამოთქმული სინამდვილის და ღრმა უთანხმოების დასაფარავად. ამ მოლოდინით ჩინელებმა დროებით სტატუს-ქვოს შენარჩუნება არჩიეს, იმ იმედით, რომ ისენი ამ დავის გადასაჭრელად ხელსაყრელ დროს შეურჩევენ, როცა მათი სამხედრო საჭურველი უფრო ძლიერი და უფრო ეფექტიური იქნება. საბჭოთა კავშირი, თავის მხრივ, ფიქრობს, რომ მომავალში შესაძლებელი იქნება ზოგი საცილობელი და საეჭვო საზღვრების ოდნავ შესწორება. რა თქმა უნდა, ჩინელებისთვის ეს არასდროს საკმარისი არ იქნება. ეს ორი თვალსაზრისი შეურიგებელი და შეუთანხმებელია. ვერავითარი კონფერენციები მას ვერ გადასჭრის.

საზღვრებზე ასე ხშირი შეჯახებები არ უნდა მიეწეროს მხოლოდ და მხოლოდ იმ მტრულ განწყობილებას, რომელიც ამ ორ სახელმწიფოს შორის სუფევს, არამედ იმ ფაქტს, რომ დიდი ნაწილი საზღვრებისა არასდროს არა ყოფილა ზუსტად გამიჯნული. განსაკუთრებით სინკიანგის მხარეში (თურქესტანი). ეს საზღვარი მრავალ ათეულ კილომეტრზეა გადაჭიმული და მაღალ, მთიან ადგილებს გასდევს ნაკლებ დასახლებულ სივრცეში, სადაც მეტად ძნელია კონტროლის გაწევა. ადგილობრივი მოსახლეობა, უმთავრესად, არა-ჩინელებისაგან, უიგურებისა და ყაზახისტანელებისაგან შესდგება, რომლებიც აგრეთვე საბჭოთა კავშირშიც მოსახლეობენ, აზიურ რესპუბლიკებში, უფრო მეტი თვით ყაზახისტანის რესპუბლიკაში. აქ (სინკიანგში), რომ ჩინეთის დომინაცია განმტკიცდეს, პეკინის მთავრობა ყოველ ღონისძიებას ხმარობს სინკიანგის ეს ნახევრად მოარული (მომთაბარე) ტომები ამ ადგილებში მუდმივ ბინადრად არ დაამკვიდრდნენ. ამის გამო იქ ჩინელებს ასახლებს. ჩინეთის ასეთი კოლონიური პოლიტიკა თანდათან მძაფრ დაპრკოლებებს აწყდება, ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობის გაწევით. 1960 წ. საბჭოთა კავშირის ფარული აგენტების წაქეზებით იქიდან გამორბიან და აზიურ რესპუბლიკებში თავშესაფარს პოულობენ. ამ მოვლენას კი ჩინეთი საბჭოების პროვოკაციას მიაწერს. სიმართლე ის არის, რომ 1881 წ. ხელშეკრულებით, რომლის ძალით ჩინეთის თურქესტანის (ეხლანდელი სინკიანგი) ერთი ნაწილი მეფის რუსეთმა მიისაკუთრა, შემდეგ კი მისი გავლენა მთლიანად მთელს თურქესტანზე გავრცელდა. თითქმის ასევე იყო მეორე მსოფლიო ომის წინ. ამ გავლენას საბჭოთა კავშირის სინკიანგზე თანმიმდევრულად ინარჩუნებდა, მხოლოდ ამაზე უარი სთქვა იმის შემდეგ, ისიც თავისი ნების წინააღმდეგ, რაც ჩინეთი სახალხო რესპუბლიკად გამოცხადდა.

მარტო ტერიტორიალური დავით არ აიხსნება ეხლანდელი მწვავე კონფლიქტი, მისი ასეთი მძაფრი ფორმით. ისტორია გვასწავლის, რომ საზღვრების პრობლემა მაშინ ვლინდება, როცა ორ დიდ სახელმწიფოთა შორის დაძაბული მდგომარეობა არსებობს და ცხრება მხოლოდ მაშინ, როცა საამისო პოლიტიკური ატმოსფერო ხელსაყრელი არ არის, ან როცა ორ მხარეთა შორის ძალთა განწყობილება საიმედოთ არ გამოიყურება. ამ ჯერად, უთანხმოების უშუალო მიზეზია იმ შეურიგებლობაში, რომელიც სუფევს კრემლისა და პეკინის კონპეტენციათა და კიდევ უფრო მეტად ამბიციებს შორის: საბჭოეთს სურს სოციალისტური ბანაკის ხელმძღვანელობა საკუთრად, სხვებზე გაუზიარებლად შეინარჩუნოს, ჩინელები კი ცდილობენ ხელმძღვანელობის მონოპოლია ხელიდან გამოსტაცონ, უარეს შემთხვევაში თანაბარი უფლებით გაინაწილონ, არა სიტყვიერად, როგორც ამას მოსკოვი სთავაზობს, არამედ ეფექტიურად, როგორც ეს შეშვენის ძლიერ და სუვერენულ სახელმწიფოს. მაშასადამე, ეს არსებითად ორ დიდი სახელმწიფოთა შორის ქიშპობაა, რომელმაც მიიყვანა კონფლიქტამდე და მტრულ განწყობილებამდე. ჩინეთი საბჭოთა კავშირს მუდამ აყვედრის, რომ მისი განზრახვაა რაც შეიძლება დიდ ხანს შეინარჩუნოს ატომურ საჭურველის მონოპოლია, ყოველგვარი კონტროლის გარეშე და არ სურს ეს მას გაუზიაროს, სამაგიეროდ, ვითომ პირდება მეცნიერულ და ტექნიკურ დახმარებას.

მათ შორის იდეოლოგიური უთანხმოება აღმოცენდა სხვადასხვანაირ სოციალურ და ეკონომიურ საფუძველზე. უთანხმოება თანდათან ღვივდება არაერთობილი ნაციონალური მიზნების გარშემო. თვითოულისათვის ეროვნული ინტერესების პირველ პლანზე წამოყენება საბედისწეროა. ტონი მკაცრი პოლემიკისა ორივეს მხრივ ისე აწეულია, რომ სულ მოკლე ხანში უარეს შედეგს უნდა მოველოდდეთ. ეხლანდელ ინტერნაციონალურ დაძაბულ ურთიერთობის პერიოდში, მათ შორის ომის შესაძლებლობა მთლად გამორიცხული არ არის. მით უფრო, რომ მოსკოვის მთავრობის და პარტიის ხელმძღვანელებს კომუნისტური სამყაროს იდეოლოგიური მთლიანობის ილუზიები სავსებით გამქრალი აქვთ, აღარ სწამთ მათი თანხმობით მოქმედება. კოჰეზია და ერთსულოვნობა სულ მთლიანად თუ არა, სანახევროდ მაინც გაბზარულია. მათ შორის ზავიც და ომიც ბეწვზე ჰკიდია.

ს. ჭირაქაძე

## ერთი ეპიზოდი...

წარსული სარკეა ცხოვრებისა. ამ სარკეში მოსჩანს დიდი სახეები იმ დიდბუნებოვან გმირთა და ღვაწლით მოსილ მამულიშვილების, რომლებმაც სისხლით, ოფლით და ცრემლით დაწერეს საქართველოს სახელოვანი ისტორია. თვით ქართველი აცოცხლეს და ღირსეული მემკვიდრეობა გადმოგვცეს. ახალი თაობა ვერასოდეს ვერ შეასრულებს ერისაგან მასზე დაკისრებულ მოვალეობას, თუ მან არ იცის წარსული, არ იცის თავისი ქვეყნის ისტორია. წინაპრების გმირული ბრძოლის მაგალითები, წარსულ თაობების ავი და კარგი. თუ ახალი თაობა ვერ ერკვევა და ვერ ამჩნევს წარსულის ავსა და კარგს, თუ ის ავს არ მოიცილებს და კარგს სამაგალითოდ არ გაიხდის; ის ვერ შეჰქმნის დიდებულ აწმყოს და ვერ უზრუნველყოფს მომავალს. თაობათა შორის სწორი და შეხმატკბილებული გაგება და თანამშრომლობა იყო ის ურყევი საფუძველი, რომელმაც საქართველო ზღაპრულ უბედურებას და მრავალჯერ აუცილებელ განადგურებას გადაარჩინა.

თანამედროვე ქართველი ახალგაზრდობა, მსოფლიო ისტორიაში ჯერ გაუგონარი მტრის ხელში იზრდება. დღევანდელი მპყრობელი ჩვენი ქვეყნისა განგებ აბნელებს და აუკუღმართებს წარსული დიდების დღეებს და წინაპართა გმირულ ისტორიას მათ რუსეთის, „უფროსი ძმის“ მიღწევად უსახავს. გენ. ტოტლებენის მზაკვრულ საქციელზე სდუმან. თუმცა დღეს საქართველოში გაიგონებთ ისტორიული პირების, ისტორიული ომების და სხვა სახელებს, მაგრამ ყველა ამათ რუს-ბოლშევიკები თავისებურად წარმოადგენენ და ახალგაზრდობას რუსული კომენტარიებით განუმარტავენ და ასწავლიან, როგორც დამპყრობელს შეეფერება. ამგვარად ქართველი ახალგაზრდობა მოკლებულია საქართველოს ისტორიის ნამდვილ გაშუქებას, რომელიც ასე საჭირო და აუცილებელია ეროვნული აღზრდისათვის.

დღეს ჩვენი ყურადღება გვინდა შევაჩეროდ ასპინძის ომზე, რომელიც მოხდა 1770 წლის აპრილის 20-ს და რომლის ორასი წლის თავი სწორედ ეხლა სრულდება. ეს ომი მრავალმხრივ იყო მნიშვნელობანი. მისი წინამორბედი მოვლენები განსაკუთრებულ ფონზე იყო გაშლილი და ომის შემდეგმა ისტორიულმა მოვლენებმაც ბევრი რამ ნათელი გახადეს. თემა დიდი და საინტერესოა. იქნება შესაძლებლობა მოგვეცეს, მომავალში მას ვრცლად შევეხოთ, ეხლა კი მცირედით უნდა დავკმაყოფილდეთ.

მეთვრამეტე საუკუნის პირველი ნახევარი საქართველოსათვის მეტად მძიმე და რთული ხანა იყო. იგი იყო გაგრძელება წინა საუკუნეებში შექმნილი, თითქმის გამოუვალი მდგომარეობის. მაგრამ იმავე საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისიდანვე მდგომარეობა იცვლება: 1762 წელს მეფე ერეკლე ადის ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სამეფოს ტახტზე და ამავე პერიოდში იზრდება რუსეთიდან რეალური დახმარების მიღების იმედები. ამან სერიოზულად ჩააფიქრა საქართველოს მაჰმადიანი მეზობლები და სამხრეთის დიდ მეზობლების შეტევა საქართველოს წინააღმდეგ უფრო გაზარდა და გააძლიერა. ფრთხილი პოლიტიკოსი და შორსმჭვრეტელი ერეკლე მეორე ცდილობდა მათ წინააღმდეგ მოკავშირეები ეპოვა.

ერეკლე დახმარებისათვის გამუდმებით მიმართავდა ევროპას, მაგრამ რადგან ეს უკანასკნელი გართული იყო თავის საქმეში და საქართველოსთვის არ ეცალა. ეს საკითხი არც შედიოდა მათ ინტერესებში, მეფე ერეკლე იძულებული იყო რუსეთისაკენ ებრუნებინა პირი, მიუხედავათ იმისა, რომ რუსეთის ვერაგობის ერთი გამაფრთხილებელი მაგალითი უკვე არსებობდა ჩვენი ისტორიიდან — 1720 წელს, ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსე, რუსეთის თვითმპყრობელმა პეტრე დიდმა მოზღვავებული მტრის წინაშე მარტო დასტოვა და შეპირება დაივიწყა. რუსეთის ღალატით გამოწვეულმა ტრაღედიამ კინაღამ მთლად დაღუპა საქართველო, რომ შემდეგ იგი ერეკლეს გამჭრიახობას არ ეხსნა. მიუხედავად რუსეთის ამგვარი მოქმედებისა ერეკლე იძულებული იყო კვლავ მიეღო ეკატერინეს წინადადება და თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირეობა ეკისრა. ერეკლეს მიზანი იყო ამ ბრძოლაში რუსის მხედრობა გამოეყენებინა და საქართველოს სამხრეთის საზღვრები გაემაგრებინა; სამცხე-საათაბაგო შემოეერთებანა. ასეთი ანგარიში სრულიად ლოღიკური იყო. ეს საქართველოს ეროვნულ ინტერესებში შედიოდა. ამიტომ გმირმა და დიდმა პოლიტიკურმა მოაზროვნე მეფემ თვალი დახუჭა რუსეთის მოღალატეობრივ ბუნებაზე და ეკატერინეს წინადადება მიიღო. შეიძლება ერეკლე იმითაც ხელმძღვანელობდა, რომ ამ პერიოდში რუსეთის ექსპანსია სწორედ ამ მიმართულებით ვითარდებოდა და იმედი ჰქონდა, ამ შემთხვევაში, თურქებთან ომი რუსეთის პირდაპირ ინტერესებში შედიოდა და ამიტომ ერეკლესადმი მოვალეობას პირნათლად შეასრულებდა.

ამ დროს რუსეთს უკვე თავისი ანგარიანი ანგარიშები ჰქონდა კავკასიაში. გეოგრაფიულად მეტად მოხერხებული და მაგარი კავკასია მას მომავალი ექსპანსიისათვის თვალწარმტაც ავანპოსტად ეჩნენებოდა. სპარსეთ-თურქეთისაკენ მიმავალი გზაც ხომ ეს იყო. ამ მიზნის განხორციელებისათვის მას განსაკუთრებით სჭირდებოდა ქართველ მეფეების დახმარება და გააბა კიდეც თვალის ამხვევი და მაცდური დიპლომატიური კავშირი. როდესაც 1768 წელს რუსეთ ოსმალეთის ომი დაიწყო, მან ქართველი მეფეები — ერეკლე და სოლომონი ჩაითრია. საქართველოში გამოგზავნა დამხმარე ჯარი გენერალი ტოტლებენის მეთაურობით. ტოტლებენი თავისი მთავრობის მიერ დიდი უფლებებით იყო აღჭურვილი და გარდა სამხედრო მისიისა, დაკისრებული ჰქონდა საიდუმლო პოლიტიკური დავალებებიც. მას უნდა დაეზვერა ქართლ-კახეთის და იმერეთის სამეფოების სტრატეგიული ადგილები და შეედგინა ტოპოგრაფიული რუკა: — კიდევ უფრო მეტად გაეღვივებინა მტრული განწყობილება საქართველოსა და მის მეზობლებს შორის ედთის მხრივ და მეორეს მხრივ თვით ქართველ მეფემთავრებ შორის, რათა ამით რუსეთს შესაძლებლობა მისცემოდა დაუძლურებული საქართველო ადვილად ჩაეგდო ხელში. გენიოსი ერეკლე მეფე უეჭველად ყოველივე ამას გრძნობდა და ითვალისწინებდა, მაგრამ ის მაინც დარწმუნებული იქნებოდა, რომ რუსეთ-ოსმალეთის ომს მოჰყვებოდა თურქეთის საკმაო დასუსტება, სამცხე-საათაბაგოს შემოერთება კი საქართველოს იმდენად გააძლიერებდა, რომ შორეულ მომავალში რუსულ საფრთხეს ამა თუ იმ გზით მოუვლიდა და დასძლევდა. მაშასადამე ერეკლესთვის მთავარი იყო ეს შემთხვევა გამოეყენებინა; თურქეთი დაესუსტებინა და სამცხე-საათაბაგო საქართველოსთვის შემოერთებინა.

ერეკლემ იცოდა, რომ საკუთარი ძალით და რუსეთის დაუხმარებლად ამ სანუკვარ და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის უდიდეს გეგმას ვ ე რ განახორციელებდა, შემდეგ კი რუსეთ ოსმალეთის ზავით მას სამუდამოდ დაიმტკიცებდა, ამასვე ოცნებობდა სოლომონ მეფეც. ამ ომის დროს ის იმერეთს გასწმენდდა თურქებისაგან და თავისუფლებას მოიპოვებდა.

როდესაც თურქების წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდა ერეკლეს ლაშქარი, რუსის სარდალი ომის დაწყებამდე ღალატობს ქართველ მეფეს და აწყურთან ბრძოლის დაწყებამდე უკან გარბის. ერეკლემ ურუსებოთ გადაიხადა ეს ბრძოლა და მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვება. ხოლო აპრილის 20-ს 1770 წელს სოფ. ასპინძასთან გადაიხადა მთავარი და გმირული ბრძოლა თურქების წინააღმდეგ და ამიერიდან ეს დიდი გამარჯვება ერეკლეს სახელოვანი ბრძოლების ისტორიაში შევიდა **„ასპინძის ომის“** სახელით. ამ დღეს ერეკლე ეკვეთა თურქების ოციათასიან ლაშქარს და ის სასტიკად გაანადგურა. ბრწყინვალედ გაიმარჯვა ერეკლემ, ხოლო ტოტლებენი, რომელიც დარწმუნებული იყო ერეკლე დამარცხდებოდა და მას საქართველოში თავისუფალი თარეშის საშუალება მიეცემოდა, იმედ გაცრუებული და აფორიაქებული იმერეთში გადავიდა. აქაც სოლომონთან ურთიერთობაში უდიერი საქციელის, უფრო კი პეტროგრადის დასახული გეგმების ჩაფუშვის გამო, რუსეთმა ის უკან გაიწვია.

ასპინძის ომის შემდეგ გავიდა სამი ათეული წელი. ამ მანძილზე საქართველოს მრავალი შევბედითი მომენტები ჰქონდა და რუსეთიც თავის ვერაგ ზრახვებს გულში ინახავდა... ამ ხნის განმავლობაში საქართველომ დაკარგა მსოფლიო ავტორიტეტით მოსილი მხნე და ნიჭიერი ჭირისუფალი ერეკლეც.

რუსეთმა მხოლოდ მერე დაინახა შესაძლებლად თავისი ბოროტი ზრახვების ასრულება ჯერ მეგობრული ხერხებით შემოიყვანა ჯარი საქართველოში, შემდეგ კი სრულიად მოგვსპო და ქართული სისხლით გაპოხიერებულ მიწას დაეპატრონა...

დღეს, როდესაც ვიგონებთ ასპინძის ომს, უნდა გვახსოვდეს, რომ რუსეთი ისევე მზაკვარი და ვერაგია, როგორც წარსულში იყო. წითელი თუ თეთრი რუსეთი ერთი და იგივე ზრახვით არის განმსჭვალული, მისი მემკვიდრეობითი პოლიტიკა ისევ დაპყრობა და სხვისი კუთვნილი მიწა-წყლის მითვისებაა.

დღევანდელი საქართველოს პირველი და გადაუდებელი ამოცანა რუსეთის მონობისგან განთავისუფლება უნდა იყოს.

ამ ჟამად კი მოწიწებით მუხლი მოვიყაროთ ასპინძის ომის გმირთა ხსოვნის წინაშე და ჩვენი თავი აღვზადროთ იმ გრძნობებში, რომელიც შეგვაძლებინებს საამაყო მემკვიდრეობის ღირსეულ მემკვიდრეობას.

მ. სინდიკელი

## ასპინძის გმირთა მოგონებანი

ძველ ქართველ გმირებს მუხლმოდრეკით მოვიგონებდით,
მათზე ვფიქრობდით შორე გზებზე, ყველგან და მუდამ,
მრავალჯერ მტერთა გამჟლეტ მებრძოლთ დავაფასებდით
და ერეკლესაც, ჯარით თბილისს რომ დაუბრუნდა.

ჩვენ ვფიქრობთ იქნებ ასპინძის დღე შემოტრიალდეს
და საუკუნეთ განმარტება გვეწვიოს თითქოს,
როდესაც სარდალთ დაფასება უცდის ფრიადებს,
ჩვენ გვინდა ეხლაც ერთგულებამ გული გაგვითბოს.

გავიდენ წლები შეტევების, ასი ორასი,
ჯერ შედეგები კიდევ არ სჩანს და ველოდებით,
იქნებ ჩვენ ახალ მოღვაწეთაც დაედოს ფასი
და გადაიმსხვრეს მტერთა დროშა და ზარბაზნები.

ქართლის საზღვრებთან გვსურს ვიხილოთ ცდები მართალი,
ვიცით მის გზებზე ბილიკია ეკლებ დართული,
მაგრამ იქვეა მებრძოლთ ძარღვი ჩამონათალი,
ასპინძის კვალზე, მათი კვანძი გადახლართული.

და გვენანება, რომ იმედი არ გაგვიმართლდა,
გვკაწრავს და ეხლაც მიღებული გვეწვის იარა,
ამ ეპოქაში საყვედური არვის გვემართა
მაგრამ ჩვენს თავზე, მრისხანებამ გადაიარა.

და გვწამს რომ მთებზე გამოჩნდება გადანახვეტი,
გაითამაშებს მეომართა დროშა ფრთიანი,
ჩვენს ქვეყანაში დაეშვება სინათლის სვეტი,
მართველი მეფის ხმა იჭექებს სამართლიანი.

და მაშინ მივალთ, გმირთა მკერდებს დავეკონებით,
ჩვენ მათ სიყვარულს სხვა ვერავინ ვერ აკვიკრძალავს:
დღეს ყველას გვმართებს ასპინძელთა მოგონებები
და სწორედ ახალ მოლოდინში ვაგროვებთ ძალას.

1970 წ. ევტიხი აბულაძე

**
*

## გმირთა დროშები

გონება ფიქრობს და გული ეძებს
გვსურს დავაფასოთ საქმენი ძველთა,
ორ საუკუნის მედგარ საფუძვლებს
მტერთან შეტევა ვინ გაუკვეთა!

ყველა ჩვენგანი, სახლში თუ სხვაგან,
მშობლიურ მიწაზე, თუ უცხოეთში
პოულობს და სთვლის საჭირო საგანს,
თუ მუშაკია, ან თუნდაც ელჩი.

მრავალი ახსნა მოგონებათა,
ივერთა ბრძოლა და გამარჯვება,
პატარა კახის შეგროვილ ძალთა
რომელთა ხსოვნა მუდამ დარჩება,

ბევრს არას ვიტყვით. არაფერს ვიზამთ,
ზოგი რამ გვტანჯავს, ზოგი გვამხნევებს,
სამშობლოს წარსულს ვზომავთ ფაქიზად
რასაც ასპინძი კვლავ ასახელებს.

ახალი გეგმა აფასებს მიზნებს
და უცნობს ხიფათს არ დაავალებს,
დედა ქალაქი არ დაახიზნებს
ვისაც სიკეთე არ ხიბლავს თვალებს.

ჩვენ ამ ადგილზე გვერჩია ყოფნა,
ან ძველ საზღვრებზე მშრომელ შვილებით,
სადაც მებრძოლნი მზემ გააოფლა
მოპირდაპირეს ეტაკნენ ხმლებით.

მარტო იყვნენ და მედგრათ იბრძოდნენ...
ჩრდილოეთი კი უკან იხევდა;
მტერი შიშისგან მტკვარს გადარბოდნენ
და ფაშა ნაძარწვს ვერ მიიღებდა.

ვინმეს რომ ნდობა ებადოს სახლში,
ზოგს კიდეც ახსოვს მცოდნეთ ანბანი,
ეს იქნებოდა მხნეთა თამაში
და ბევრს ამხნევებს მოგონებანი.

საქართველოში თქვენ ვინ რა მოგცათ
ახალ განწირულთ, თუ ძველთა გმირებს!
მიიღეთ ჩემგან კაცური კოცნა,
რადგან გულს მხოლოდ ეს გამიგრილებს.

1970 წ. ევტიხი აბულაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სინდისის თავისუფლება

(გადაეცა რადიო თავისუფლებას მიერ)

ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ უკანასკნელ ნომრებში მწუხარებით აღინიშნება რელიგიური რწმენის გავრცელება მოსახლეობასა და განსაკუთრებით ახალგაზრდობაში. ჟურნალის წერილები აჭრელებულია შემდეგი სათაურებით: „უკომპრომისო ბრძოლა კაპიტალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ, როგორიც არის რელიგიური რწმენა“, „დაუნდობელი ბრძოლა სინდისის ბურჟუაზიული თავისუფლების წინააღმდეგ“ დასხვ. უკანასკნელი წერილის ავტორი რუსიტაშვილი არ მალავს, რომ ურჩ სასულიერო პირებს საბჭოთა რეჟიმი სჯიდა, რელიგიურ ორგანიზაციებს ხურავდა. ეს დღესაც ასეაო. ამავე დროს რუსიტაშვილი ამტკიცებს, რომ საბჭოთა კავშირში სინდისის თავისუფლება მოქალაქეთათვის კონსტიტუციით არის გარანტირებულიო, ხოლო ბურჟუაზიულ ქვეყნებში სინდისის თავისუფლებაზე ლაპარაკი საერთოდ არ შეიძლება. თანამედროვე იმპერიალისტური რეაქცია სხვა დემოკრატიულ თავისუფლებებთან ერთად სდევნის სინდისის თავისუფლებას და უსინდისოთ ბღალავს მასო“. რასაკვირველია, ყველაფერი ეს თავიდან ბოლომდე ზღაპარია.

მიუხედავათ იმისა, რომ საბჭოთა კონსტიტუციის მიერ რელიგიური რწმენის თავისუფლება გარანტირებულია, მაინც რელიგიას საბჭოთა კავშირში მუდამ სდევნიდნენ და ეხლაც სდევნიან. საქართველოს მოსახლეობის მეხსიერებაში არასოდეს არ წაიშლება მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების საბჭოთა ხელისუფლების მიერ შეურაცყოფა. ვერ დაივიწყებს, თუ როგორ შეაგინეს, დაანგრიეს და თავლებათ გახადეს ეკლესიები და ყველაფერი, რაც მორწმუნეებისთვის ითვლებოდა არა მხოლოდ წმინდა ადგილებათ, არამედ კულტურის ისტორიულ ძეგლებს წარმოადგენდნენ. რამდენი ეკლესიის მსახური დაიღუპა ჩეკის სარდაფებში და რამდენი გადასახლებული იყო ციმბირში?

მიუხედავად ამისა, კომუნისტურმა რეჟიმმა ვერა და ვერ შესძლო მოსახლეობაში რელიგიური გრძნობების ჩაკვლა. მაგრამ უბედურება, თურმე ისა ყოფილა, როგორც წერს საბჭოთა საქართველოს პრესა, რომ რელიგიურმა რწმენამ გავრცელება დაიწყო ახალგაზრდობაში. პრესა გულისტკივილით აღნიშნავს, რომ აღმზრდელობითი მუშაობა, რომელსაც კომკავშირის ორგანიზაციები ეწევიან კაპიტალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ ხშირადფიასკოს განიცდის.

რასაკვირველია, ასეთი ახსნა ამ მოვლენის ბოლომდე მოუფიქრებელია და ის კრიტიკას ვერ უძლებს. საქართველოს ცეცხლითა და მახვილით გასაბჭოების შემდეგ დაბადებულების მიმართ ამ საზომით მიდგომა ცოტა არ იყოს სასაცილოა.

ქართველ ახალგაზრდობაში რელიგიურ რწმენის გავრცელების მიზეზზე კომუნისტური პროპაგანდა სდუმს. დამყაყებულ ფორმალობის, ულიმღამო ცხოვრების გამო ახალგაზრდობა ზურგს უქცევს საბჭოთა სინამდვილეს და ეკლესიისაკენ იბრუნებს პირს, ხოლო ზოგიერთი ეკლესიაში შედის რეჟიმისადმი პროტესტის ნიშნად. როგორ არ ცდილობს კომუნისტური რეჟიმი რელიგიის სახელის გატეხვას, ახალგაზრდობა მაინც არ ხედავს რელიგიაში იმ ბოროტებას, რომელზეც პროპაგანდა დღედაღამ გაჰყვირის. ერკვევა რა საკმარისად საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებში, ქართველი ახალგაზრდობა სწორ დასკვნამდე მიდის, რომ ქრისტიანულ მორალს ხალხისათვის თავისუფლება მოაქვს და არა ე. წ. ოპიუმი.

ახალგაზრდობის დიდი უმრავლესობა ჯვარს იწერს და ბავშვებს ნათლავენ ეკლესიაში და უარს ამბობს რელიგიური დღესასწაულების დროს სამუშაოდ გასვლაზე. მაგრამ, რაც პარადოქსალურია, ამ ჯგუფს ეკუთვნის კომკავშირელების დიდი ნაწილი. საბჭოთა საქართველოს პრესა ამ ქორწინება-ნათვლაზე უხვ მასალას იძლევა. ყოველი საღად მოაზროვნე ადამიანისათვის ცხადია, რომ სინდისის თავისუფლება თვითეული ადამიანის რწმენის თავისუფლად აღიარების უფლებაა. ასეთი უფლება ყველა კულტურულ ქვეყანაშია — არის ის საბჭოთა კავშირშიც, კანონით გარანტირებული, მაგრამ ეს ქაღალდზე რჩება. ხოლო ცხოვრებაში სრულიად თავისუფლად ანტირელიგიური პროპაგანდა მიმდინარეობს. რაც მთავარია, ეს პროპაგანდა მიმდინარეობს სახელმწიოს ხარჯზე და მისი კურთხევა-მფარველობის ქვეშ.

ანტირელიგიური პროპაგანდის მტკიცებით რელიგია ანტიმეცნიერულია, რომ ბიბლია და საღმთო წერილი ზღაპრების კრებულია, რომ ეკლესიის მსახურნი ცხოვრების ხორცმეტებია, მუქთახორები, სხვისი შრომის ხარჯზე ცხოვრობენ და სხვ. ქვეყანაში, სადაც ასეთი თავაწყვეტილი პროპაგანდა მძინვარებს ბუნებრივია მორწმუნეებსაც უნდა ჰქონდეთ რელიგიური იდეების პროპაგანდის უფლება, მაგრამ ეს საბჭოთა კავშირში დაუშვებელია. სახელმწიფო ხელისუფლება საბჭოთა კავშირში მხოლოდ ათეისტებს ანიჭებს თავისუფლებას, მორწმუნეებს კი პირის გაღების უფლებას არ აძლევენ. აი როგორ ანხორციელებს კომუნისტური დიქტატურა სინდისის თავისუფლებას.

მიუხედავათ ამისა, საქართველოს ახალგაზრდობა გაურბის კომუნისტურ დოგმებს, მას სწყურია ახალი კულტურა, ახალი სამყარო, სადაც თავისუფლად სუნთქვა და ფიქრი შეუძლიან. ახალგაზრდობის რელიგიური რწმენის მიმართ მისწრაფება თავისუფალ აზროვნებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი გამოსახულებაა. ის ოცნებობს თავისუფლებაზე და სასტიკად ეურჩება კერპების თაყვანისცემით დაბრმავებულ პარტიულ ხელმძღვანელობას. ახალგაზრდობა უკვე დარწმუნებულია, რომ ამ კერპების იდეოლოგიის სრული ამოგდების და უარყოფის გარეშე ადამიანის თავისუფლება წამოუდგენელია. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ საბჭოთა ანტირელიგიურ პროპაგანდას და კერძოდ „საქართველოს კომუნისტი“-ს პროპაგანდისტებს არ ძალუძთ ახალგაზრდობაშ შეჭრილ რწმენასთან ბრძოლა.

## დაკანონებული უუფლებობა

(გადაეცა რადიო თავისუფლებას მიერ)

საბჭოთა კავშირის კომპარტიის ც. კომიტეტის თეორიულ და პოლიტიკურ ჟურნალ „კომუნისტის“ ამა წლის მეორე ნომერში გამოქვეყნებულია ვასილ მჟავანაძეს წერილი: „საბჭოთა კავშირის კომპარტია ლენინელების ინტერნაციონალისტური პარტია არის!.

ამ წერილის თითქმის სამ მეოთხედს ვასილ მჟავანაძე, უძღვნის ნაციონალურ საკითს საბჭოთა კავშირში. ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო წერილის იმ ადგილმა, სადაც ავტორი ეხება საბჭოთა კავშირის სახელმწიფო სტრუქტურას. მჟავანაძე წერს:

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ შესაძლებლობა მისცა კომუნისტურ პარტიას წარმატებით განეხორციელებინა თავისი ფუძემდებელი დებულებანი ეროვნულ საკითხში. საბჭოთა სოციალისტური კავშირი თანასწორუფლებიან რესპუბლიკების ნებაყოფლობით გაერთიანების ბაზაზე აღმოცენებული სახელმწიფოა. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ ყველა ერისათვის უზრუნველყო შესაძლებლობა შეექმნა თავისი ეროვნული სახელმწიფოებრიობა, შეენარჩუნებია და გამოყოფისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შექმნის უფლებაც კი!“

რასაკვირველია ყველაფერი ეს წყალ-წყალა დეკლარაციული განცხადებაა და საქმის ვითარებას სრულიად არ აშუქებს. ხოლო ნამდვილი ვითარება ასეთია: —

კომუნისტური სახელმწიფოს ძირითადი კანონი — კონსტიტუცია აღიარებს ხალხთა ურყევ უფლებებს, მაგრამ მხოლოდ ქაღალდზე, სინამდვილეში კი ეს უფლებები მათ არ გააჩნიათ. საბჭოთა კონსტიტუციას თუ გულდასმით განვიხილავთ, შიგ აღმოვაჩენთ ხრიკებსა და განზესვლებს, რომელნიც კომუნისტურ ხელისუფლებას შესაძლებლობას აძლევენ თვითნებურად, მაგრამ იურიდიული საფუძვლების მოჩვენებით ნოლამდე დაიყვანოს განცხადებული უფლებების განხორციელება.

მტკიცება, თითქოს საბჭოთა კავშირი თანაბარუფლებიან საბჭოთა რესპუბლიკების ნებაყოფლობით გაერთიანებას წარმოადგენს, ჭეშმარიტებას ღალატობს, რადგან ეს რესპუბლიკები არ არსებობდნენ, არამედ მხოლოდ ხელოვნურად შექმნილი სახელმწიფონი იყვნენ, რომელთაც მიაკერეს სახელწოდება რესპუბლიკები და რომელთაგან შეაკოწიწეს საბჭოთა კავშირი.

კონსტიტუციის 14-ტე მუხლში ჩამოთვლილია ყველაფერი, რაც საბჭოთა კავშირის მართველობას ექვემდებარება. სახელდობრ: — საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობა საერთაშორისო ურთიერთობებში, ხელშეკრულებების დადება, მათი რატიფიკაცია და დარღვევა. საერთო წესის დადგენა საკავშირო რესპუბლიკების და უცხო სახელმწიფოების ურთიერთობაში, საბჭოთა კავშირის თავდაცვის ორგანიზაცია, ყველა შეიარაღებულ ძალების ხელმძღვანელობა, საკავშირო რესპუბლიკებს შორის საზღვრების შეცვლის დამტკიცება, საბჭოთა კავშირის უმაღლეს ორგანოების მართველობის კომპეტენციაში შედის.

ამ რიგად, 14-ტე მუხლს არარაობამდე დაჰყავს საკავშირო რესპუბლიკების ფორმალური უფლებები ხსენებულ დარგებში.

რაც შეეხება საკითხს რესპუბლიკების საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის უფლებათა შენარჩუნებას (კონსტიტუციის 17-ტე მუხლი), რომელზეც დიდი რიხით სწერს ვასილ მჟავანაძე, უნდა ითქვას, რომ ამ მუხლის მეტისმეტი ლაკონიურობა, რომ თვითეულ მოკავშირე რესპუბლიკას საბჭოთა კავშირიდან გასვლის უფლება აქვს, ყოველ საღად მოაზროვნე ადამიანს დაარწმუნებს, რომ ის შეტანილია კონსტიტუციაში უფრო საპროპაგანდო მოსაზრებებით. დაუშვათ, რომ საბჭოთა საქართველომ მოისურვა კავშირიდან გასვლა, რაზედაც კონსტიტუციის 17-ტე მუხლი მეტყველობს, — შესაძლებელია ეს? არავითარ შემთხვევაში, რადგან 20-ცე მუხლში აღნიშნულია: — საკავშირო რესპუბლიკების კანონის საბჭოთა კავშირის კანონთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში ძალაში რჩება უკანასკნელი, ე. ი. საერთო საკავშირო კანონი. იურიდიულად კონსტიტუცია ისე ცინიკურად და თვალთმაქცურათაა შედგენილი, რომ მიუხედავად ფორმალური უფლებისა, არც ერთ რესპუბლიკას კავშირიდან გასვლა მოსკოვის თანხმობის გარეშე, კანონიერი გზით არ შეშეუძლია.

საბჭოთა კავშირი ყველა სფეროებში ერთიან და უკიდურესობამდე მიყვანილი ცენტლიზებულ სახელმწიფოს წარმოადგენს, რომელშიც გარდა ფორმალური აღიარებისა მისი შემადგენელი ნაწილებისათვის დამოუკიდებლობის კვალიც არ არის.

საბჭოთა კონსტიტუცია კომუნისტური პარტიის მონოპოლური უფლებების დაკანონებაა და მისთვის ყველა შესაძლებლობათა მინიჭება თავისი ნება-სურვილით განაგოს საკავშირო რესპუბლიკები და მათი ავლა-დიდება

ეს კონსტიტუცია დაკანონებული უუფლებობაა, ცბიერებისა და თვალთმაქცობის განსახიერება. აქ მელას კუდს, თვით მელა მოჰყავს მოწმედ.

კრემლის კანონმდებლების იურიდიული ფანდების ანალიზის შემდაგ ბუნებრივად ისმის კითხვა: რა მიზანს ემსახურება ვასილ მჟავანაძეს ზემომოხსენებული წერილი? ჩვენი ღრმა რწმენით ერთად-ერთს: დაფაროს და მიაფუჩეჩოს კონსტიტუციით დადგენილი მოკავშირე რესპუბლიკების უუფლებობა.

## სიტყვა თქმული ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე

„თვითეული ცემა გულის ძარღვისა გვჭრის და გვაწყლულებს ჩვენ და ჩვენი სიცოცხლე ჭრილობიდან სისხლის შეუწყვეტელი დენა იქნებოდა, რომ ქვეყანაზე პოეზია არ ყოფილიყო“, — სთქვა ერთმა ბრძენმა.

ღმერთი რომ ერს, ქვეყანას, მოწყალების თვალით გადმოხედავს, მოუვლენს ხოლმე კაცს, პოეზიის მადლით ცხებულსა. როცა ადამიანს სურს შეიტყოს ღირსება და დიდება ერისა ყოვლთ უწინარეს ამას იკითხავს, — რამდენი მთქმელი და მწერალი ჰყავსო. ღირსებას და სიდიადეს ერისას მარტო ამ საწყაოთი სწყავს ადამიანი. რაკი ესეა, ეხლა ცხადი უნდა იყოს, რა ძვირფასი განძია ჩვენთვის იგი მტვერი, რომლის წინაშე ვდგევართ ჩვენ დღეს.

პოეზია მადლია, ნიჭია, რომელიც ეძლევათ მხოლოდ კაცთა, ღვთივ რჩეულთა, მადლია, მაგრამ ამასთანავე ტვირთიც არის, — რადგანაც იგი მოვლენილია, რომ ჭრილობიდამ სისხლის შეუწყვეტელი დენა კაცთა სიცოცხლეს შეუყენოს.

ამ მადლს, ამ ტვირთს, დიდი ძალ-ღონე უნდა სულისა და ხორცისა. და ამიტომაც როცა ღმერთმა გამოგვიგზავნა ჩვენდა ნუგეშად და თავმოსაწონებლად ნიკოლოზ ბარათაშვილი, უკურთხა ენა მეტყველობისათვის, თვალნი მხედველობისათვის, ყურნი სმენისათვის, გულს ჩაუდო გაუქრობელი ცეცხლი კაცთა გულის გასათბობლად და უბრძანა, — წადი და კაცთა ნათესავს ამცნე უზენაესი მცნება ჩემი და სიტყვით გული აუნთეო.

კიდევ ვიტყვი, პოეზია მადლია, ნიჭია, მაგრამ ხომ ხედავთ, იგი დიდი ტვირთიც არის. დიდ ტვირთადვე იცნო იგი ამ ჩვენმა სახელოვანმა კაცმა და მას ყველაფერი ანაცვალა. ოღონდ ეგ ტვირთი დაუღალავად ვზიდო, ოღონდ ერთგულად ვემსახურო, და ყველაფერს შევწირავ განწირული სულის კვეთებამდეო. ამ განწირულობამ, გარდაცვალების ერთი წლის წინად, ეს სიტყვები ამოაკვნესა, რომლებიც წინასწარმეტყველობად გადაექცა ბოლოს:

> ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,
> ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,
> ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა,
> ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის!..
> შავი ყორანი გამითხრის საფლავს
> მდელოთა შორის ტიალის მინდვრის,
> და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა
> ზარით, ღრიალით მიწას მომაყრის!..
> სატრფოს ცრემლის წილ მკვდარსა, ობერსა,
> დამეცემიან ციურნი ცვარნი,
> ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად
> მივალალებენ სვავნი მყივარნი.

ეს მწვავი წინასწარმეტყველება გუმართლდა. იგი არ დაიმარხა თავის მამულში, მას არ დაედინა ცრემლი თავის ქვეყნის შვილისა. ეს ჯავრი თან ჩაიყოლია ამ ჩვენმა განმადიდებელმა კაცმა, და დღეს ჩვენ, ჩვენდა სასახელოდ, მოვასვენეთ აქ მისი მტვერი, მისი ნეშტი, რომ დღეის ამას იქით მისმა სამშობლო ცამ თავისი ნამი ცრემლად ზედ აღინოს, მისმა სამშობლო დედამიწამ გული გადაიხსნას და მისი მტვერი მიიბაროს, მისდა განსასვენებლად და ჩვენდა სალოცავად.

მართალია, ეს მოგვიხდა ორმოცდა შვიდს წელიწადს შემდეგ. და იქნება სთქვან, გვიან არისო, მაგრამ რა არის ორმოცდაშვიდი წელიწადი უკვდავებისათვის? მხოლოდ ერთი წამია. ნიკოლოზ ბარათაშვილი უკვდავია და უკვდავისათვის არც რაიმე ქვეყნიერობაზე გვიანია, არც რაიმე ადრე. ეს დიდებული წამი, რომელმაც დღეს აქ შეჰკრიბა წარმომადგენლობა მთელის საქართველოსი, მაგალითია იმისი, რომ ჩვენი ერი ამაღლებულა სულითა და გულითა, რადგანაც მარტო ჭკვაგახსნილმა და გულგაწმენდილმა კაცმა იცის ესე ღირსეულად დაფასება და ესეთის პატივით ხსენება დიდბუნებოვან კაცისა.

დიდ ბუნებოვანი იყო იგი, ვის სამარესაც გარს ვარტყივართ დღეს და აკი იწინასწარმეტყველა კიდეც:

> ცუდათ ხომ მაინც არ ჩაივლის
> ეს განწირულის სულის კვეთება,
> და გზა უვალი, შენგან თელილი,
> მერანო ჩემო მაინც დარჩება . . .

და დარჩა კიდეც. ეგ გზა უვალი თვითეულ ქართველის გულია, საცა მისმა მერანმა ღრმად ჩააჭდია მისი ანდერძი, მისი ნათქვამი. ვაპირობთ აქ ძეგლის დადგმას, ხოლო რა დასადარია ხელთქმნილი ძეგლი, თუნდა დიდფასიანი იმ ხელთ-უქმნელ ძეგლთან, რომელიც მისმა დიდბუნებოვანებამ ჩვენ გულში აღაგო.

მე არ ვეტყვი საუკუნო ხსენებას, იმიტომ რომ თვითეულის ქართველის გული მისი საუკუნოდ სახსენებელია.

„სატრფოს ცრემლის წილ დამეცემა ციურნი ცვარნი და ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად სჭავნი მყივარნი მივალალებენო“. აღსრულდა ეს წინასწარ თქმული მისი მაშინ, დღეს კი მის მტვერს, მის ნეშტს, მის კუბოს, მის საფლავს, დასტირიან მისნი ტრფიალნიცა, და ამათ ცრემლს ზედ დასდის დიდებული ცრემლი მთელი საქართველოსი.

ილია

## აბრამ ლინკოლნი

(გაგრძელება. იხ. „ქ. აზრი“ № 82)

ფსიქოლოგიურმა ისტერიამ თავისი გაიტანა. როგორც კი არჩევნების შედეგი გამოირკვა, (დეკემბერი, 1960), სამხრეთ კაროლაინამ დაუყონებლივ მოიწვია შტატის წარმომადგენლები და ერთხმათ დაადგინეს კავშირიდან გასვლა. მას შეუერთდა: მისისიპი, ფლორიდა, ჯორჯია, ლუიზიანა და ტექსასი. (ვირჯინია, ჩრდილო კაროლაინა, არკანსი და ტენესი კავშირს მხოლოდ ომის პერიოდში გამოეყო).

ახლად გამოყოფილმა შტატებმა თავის პრეზიდენტად ჯეფერსონ დევისონი აირჩიეს. როგორც ლინკოლნი, ისე დევისონი დარწმუნებულები იყვნენ, რომ შეერთებული შტატების კონსტიტუციას იცავდნენ და ორივე, თავის უპირატესობას „ისტორიული ფაქტებით“ ამართლებდა.

ნოემბრიდან მარტამდე, ე. ი. არჩევნებიდან ხელისუფლების ჩაბარებამდე, ლინკოლნი მხოლოდ უმწეო მოწმე იყო, თუ როგორ ირღვეოდა კავშირი, იქმნებოდა ახალი კონფედერაცია, რომელიც ითვისებდა კავშირის უფლებებს და მის საკუთრებას. იმდროინდელი პრეზიდენტი, — ბუკენენი, იმდენათ დაღლილი და ნებისყოფა გამოლეული იყო, რომ აღარც უნარი ჰქონდა და აღარც სურვილი ამას შებრძოლებოდა.

არც ჩრდილოეთსა ჰქონდა გარკვეული პოზიცია. მისი ერთი ნაწილი ფიქრობდა, რომ კავშირის ძალით შენახვა არ შეიძლება და სამხრეთს მშვიდობიანათ უნდა დაშორდეს; მეორე ნაწილის აზრით, სამხრეთი უნდა დაებრუნებინათ კავშირში ყოველგვარი შეპირებებით, ამაში შედიოდა ახალ ტერიტორიებზე მონობის გავრცელებაც. როდესაც რჩევისათვის ლინკოლნს მიმართავდნენ ხოლმე, ის ვერავითარ პასუხს ვერ იძლეოდა. ლინკოლნისათვის წმინდათა წმინდა კავშირი იყო, მაგრამ იმაშიც ღრმად იყო დარწმუნებული, რომ პრეზიდენტი საკუთარი გავლენით მოსახლეობას ომში ვერ გაიყოლიებდა, თუ ეს ღრმა რწმენა თვით მოსახლეობაშიც ფესვგამდგარი არ იყო.

მაგრამ, როდესაც ლინკოლნს საკუთარ აზრს ეკითხებოდნენ, ის ძალიან მოკლედ ჯეკსონის ფრაზით უპასუხებდა: „ჩვენი ფედერატიული კავშირი უნდა იყოს დაცული“. მან ერთ თავის მომხრეს მისწერა: „რამდენათაც შესაძლებელია არ დაუშვათ ჩვენი მეგობრების დემორალიცაზია. არც იმ აზრის გავრცელება, რომ კომპრომისისათვის ჩვენ მივიღოთ მონობის გავრცელება. ეს კარგათ დაიხსომეთ და ყოველგვარი საშუალებით დაიცავითო, შემარიგებელ საშუალებებს შორის, ლინკოლნისათვის ამგვარი კომპრომისი გამორიცხული იყო. მას ურყევად სწამდა: კავშირის შენახვა და მონობის გავრცელების შეზღუდვა. ლინკოლნისათვის ეს ორი საკითხი ერთიმეორესაგან განუშორებელი იყო, და თანაბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აბრამ ლინკოლნი

(დასაწყისი იხ. მესამე გვერდზე)

ისეთი, როგორიც მე მსურს, არამედ ისეთი, როგორიც ის არის. ამ კონსტიტუციას ვერ შევინახავთ და ვერ დავიცავთ, თუ მას მხარი არ დაუჭირა შეერთებული შტატების ყოველმა კუთხემ და ყოველმა მოქალაქემ. კონსტიტუციის დაცვა, მისადმი მორჩილება ჩვენი უპირველესი მოვალეობაა და მერე ბალახი სადაც უნდა იქ ამოვიდეს"-ო.

მარტო ბ-ნ დოდჟს არ აწუხებდა „გაკოტრება" და ომის შედეგად გატიალებული „ჩვენი სავაჭრო ცენტრების" ბედი. 1861 წ. იანვარში, ნიუ-იორკის ქალაქის თავმა ქალაქის თვითმმართველობას წინადადება მისცა: „როცა სამხრეთი დაასრულებს თავის კონფედერატიულ კავშირს, ნიუ-იორკი გამოეყოს ჩრდილოეთს და ქალაქი გამოვაცხადოთ თავისუფალ ნავთსადგურათ"-ო.
კის დელეგატმა უთხრა ლინკოლნს:

„თქვენგან არის დამოკიდებული გადაიქცევა ჩვენი ქვეყანა უდაბნოთ და ჩვენ სავაჭრო ცენტრებს დაფარავს თუ არა სარეველა"-ო.

ამის გამგონე ლინკოლნმა სახე მოიღრუბლა, მაგრამ მშვიდათ წარმოსთქვა: „მე არა ვარ დარწმუნებული, რომ კარგად მესმის თქვენი სიტყვები ბ-ნო დოდჟ, — ასევე არ ვიცი როგორი იქნება მომავალში ჩემი მოქმედება. ვიცი მხოლოდ, რომ თუ მე მომიწევს პრეზიდენტის მაღალ პოსტზე შედგომა და ფიცის მიღება, ყოველი საშუალებით დავიცავ შეერთებული შტატების კონსტიტუციას... მე მეკისრება დავიცვა ეს კონსტიტუცია არარი ენერგიით უნდა დაეცვა.

მაგრამ, ლინკოლნის მწვალებელი ფიქრი იყო, მოასწრებს კი პრეზიდენტის პოსტის დაკავებას, რათა ამ საკითხებზე გავლენა მოახდინოს? თუ ის თეთრ სახლში შევა, იმ დროს, როცა ხალხს უკვე დაკარგული ექნება პრეზიდენტისადმი ნდობა და პრეზიდენტს აღარ შეეძლება მოქმედება?

მოვალეობის ასრულების ათი დღით ადრე ლინკოლნი შეხვდა 21-თი შტატის წარმომადგენლებს, რომლებიც ე. წ. სამშვიდობო კონფერენციის მონაწილენი იყვნენ. დელეგატებს ჯერ კიდევ სჯეროდათ საქმის მშვიდობიანი მოგვარების შესაძლებლობა. ნიუ-იორ-

„ჩვენ განმდგარ სამხრეთელ მონათმფლობელურ შტატებთან გვაერთებს ღრმა სიმპატია და მეგობრული გრძნობა... იმის მაგიერ, რომ ნიუ-იორკმა შეერთებული შტატების ბიუჯეტის სამი მეოთხედი დაფაროს, ეს ფული ქალაქს მოვახმაროთ და ვიყოთ დამოუკიდებელი. როგორც თავისუფალი ქალაქი, სულ მცირედი საბაჟო გადასახადით, ნიუ-იორკს შეეძლება შეინახოს თავისი თვითმართველობა თავისი მოქალაქის დაუბეგრავათ"-ო.

ლოდინის პერიოდში, ლინკოლნი, უეჭველია, ბევრჯერ შეეკითხებოდა თავის თავს: რა დარჩება ამ ქვეყნიდან იმ მომენტისათვის, როდესაც თავის მაღალ თანამდებობის ასრულებას შეუდგება? ამავე დროს მას მტკიცედ სწამდა, რომ საკავშირო მაღალ მოვალეობის პოსტს დაიკავებდა, თუ ამ პერიოდში მას არ მოჰკლავდნენ. ლინკოლნი დაჯერებული იყო, რომ შესძლებდა კონსტიტუცია დარჩენილიყო ძალაში შეერთებული შტატების ყოველ კუთხეში. ლინკოლნს, ალბად, ისიც სწამდა, რომ ეს უომრად არ მოხერხდებოდა.

ადვილად წარმოსადგენია, თუ რა მწარე განცდებით მივიდა ამ გარდაწყვეტილებამდე. ის კარგად იცნობდა მწარე სინამდვილეს და უსათუოდ იცოდა, რომ ომი მდგომარეობას უფრო ართულებს და მას სიკეთე არასოდეს არავისთვის არ მოაქვს, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ბოროტების დაძლევა მარტო ძალას შეეძლო. კავშირის დარღვევა კი ლინკოლნს მიაჩნდა ბოროტებათა შორის, ყველაზე დიდ ბოროტებათ. თუ ამ სიბოროტეს არ შეებრძოლება, თუ მას ვერ დასძლევს, მაშინ მთელი ქვეყნიერებისათვის ნათელი გახდება, რომ ამერიკამ, — რომელსაც არავითარი საგარეო საფრთხე არ მოელოდა, თავისუფლებისათვის მიძღვნილობა ვერ გამოიჩინა და ვერ დაიცვა „დამოუკიდებლობის დეკლარაცია", რომელიც ლინკოლნის პოლიტიკის საფუძველი იყო.

„ჩვენთვის ჭეშმარიტებაა, რომ ადამიანები იბადებიან თანასწორნი. ღმერთი მათ თანაბრათ ანიჭებს ზოგიერთ წაურთმეველ უფლებებს, რომელშიც: სიცოცხლე, თავისუფლება და უკეთესი ცხოვრებისაკენ მისწრაფება" შედის". ასეთი მნიშვნელობა ჰქონდა კავშირს ლინკოლნისათვის, რაც არა ერთხელ საკუთარი სიტყვებით გამოთქვა: „როგორც მე თვითონ არავითარი სურვილი არა მაქვს ვიყო მონა ასევე არავითარი სურვილი არა მაქვს ვიყო მონის ბატონი. ამაშია ჩემი იდეის დემოკრატიულობა" - ო.

ლინკოლნმა საკმაოდ განიცადა ცხოვრების სიავე რათა ის ყოფილიყო ილუზიებისაგან განტვირთული რეალისტი, ამიტომ შეუძლებელია ვიფიქროთ, თითქოს მას სჯეროდა „დამოუკიდებლობის დეკლარაცია" უკვე განაღდებულია, ან შეიძლება სულაც არა სჯეროდა, რომ როდისმე ის განაღდდება, მაგრამ, ვიდრე კავშირი არსებობდა, ვიდრე დამოუკიდებლობის დროშა ფრიალებდა, ყოველი ღონისძიებით ის კიდეც უნდა დაეცვა.

ლინკოლნისათვის უცხო იყო ილუზიები. ის არ ეკუთვნოდა იმ ტიპის ამერიკელებს, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ომი თამაშია, რომელსაც ან მოიგებ, ან წააგებ, ხოლო თამაშის შემდეგ მოთამაშეები სახლში ბრუნდებიან, ან მხიარულები, ან მოწყენილები. მან იცოდა, რომ ყოველი ომი პოლიტიკის თავისებური სახეა. ისიც იცოდა, რომ ამის შედეგი ქვეყნის დანგრევა და გაკოტრებაა და როგორც გამარჯვებული, ისე დამარცხებული მხარე ზარალდება. იცოდა, რომ ხშირად გამარჯვებული მებრძოლი ველარ უბრუნდება იმ მშობლიურ კუთხეს, რომელიც მან დატოვა და რომელსაც ის იცავდა. მიუხედავათ ამისა, მან იცოდა, რომ გარემოება აიძულებდა მიეღო რადიკალური ზომები. მან ისიც იცოდა, რომ მასზეა დამოკიდებული ომიც და ზავიც.

(გაგრძელება იქნება)

**არ. დონაური**

## ჩემო ბატონო...

პარიზის მახლობლად ერთი პატარა ქალაქია, მას „შატუს" ეძახიან. შატუს ვიწრო შუკაში ერთი ნაცრის ფერი ორ სართულიანი სახლი სდგას. მას აკრავს პატარა ეზო, ორიოდე „გამხდარი" ხე და ორიოდე ბუჩქი.

სახლის წინ პატარა შუკაში ერთი მორჩილი, გვერდებ ჩაჭყლეტილი, სრულიად მინგრეულ-მონგრეული ავტომობილი სდგას...

**დილის რიჟრაჟია.**

მაღალი ტანის, გამხდარი კაცი ვაჟკაცური შესახედავი, გარს უვლის ამ წითელ, პატარა ავტომობილს; ზეთში და მურში დასვრილი ხელებით რაღაცას აკაკუნებს, მუხრუჭებს უჭერს და გაფაციცებით ცდილობს დაძრას, აამუშაოს...

იქვე სდგას პატარა ქალი შავებში, თავსაფარს წამ და უწუმ ისწორებს თავზე და მორჩილი, წყნარი მიმოხვრით აწვდის მომუშავე კაცს იარაღს. ხელები სავსე აქვს რაღაცა რკინის იარაღებით... „ამუშავდება ბატონო, საწყალს დიდი ჯაფა აქვს, ყოველ დღე ხუთი კასრი რძე უნდა მოიტანოს, მერე მაწონი დაარიგოს. ადვილი არაა ჩემო ბატონო". ეს ქალი ბაბალეა, კვინიტაძეების ოჯახის გამდელი, მისი საუნჯე.

სახლიდან გაისმის წკრიალა ხმა: „გიგა არ დაგაგვიანდეს რძეზე".

ბოლოს ათუხთუხდა წითელი, გვერდებ ჩალეწილი ავტომობილი და ბ-ნი გ. კვინიტაძე ჩაალაგებს ცარიელ რძის კასრებს და ქუხილით გაირბენს ვიწრო შუკებს. რძეს მოიტანს და ეხლა მაწვნის ქილებს ალაგებს ყუთებში: პარიზის ქუჩებს ჩაუვლის, მაწონს დაარიგებს და...

პატარა სახლის სარდაფში მაწვნის წარმოებაა. აქ დილის რიჟრაჟიდან საღამომდის იწყება მთელი ოჯახის დიდი მუშაობა.

„მაწონს დახურეთ, მაწონს ახადეთ, ქილები, ქილები..." ასე მიდიოდა თვეები და წლები დიდ დაძაბულ შრომაში. ხშირად მას ერთოდა ემიგრანტული მითქმა-მოთქმა, რომელიც ძალიან მტკივნეული იყო ბ-ნ გიორგისათვის. მაგრამ ეს ჭექა-ქუხილი გაზაფხულის ნიავლვარივით მალე გადაივლიდა და მტკიცე ქართველურის მხნეობით და გამძლეობით მიდიოდა ბ-ნი გიორგი და მარიამ კვინიტაძეების ოჯახური ცხოვრება... შვილები იზრდებოდნენ. ჯებირივით გვერდით ედგა მათ ოჯახს, იყალთოდან წამოყვანილი ხალხური სიბრძით მოსილი — გამდელი ბაბალე, რომელიც ქართულ სიტყვას პირში უდებდა მოზარდ თაობას

ოჯახი იყო გაშლილი ყველა ქართველისათვის... ყველა ქართველი თავს იყრიდა მათ ემიგრანტული სუფრის ირგვლივ.

**კვირა**

ეს იყო მათი დასვენების დღე და მეგობრებთან შეხვედრის საათები. მშვენიერი მარიამ მაყაშვილის ასული იყო ამ ოჯახის გვირგვინი. მას ჩვენ „იყალთოს ვარდს" ვეძახდით.

სილამაზესთან ერთად იყო კეთილი, დარბაისელი მეუღლე და ქართველი დედა, ცქვიტი, მომხიბლავი და ყველას დამხმარე და გამკითხავი.

კვირას ვინ არ იყო მათ ოჯახში, ქართველების გარდა უცხოელებიც. ამ პატარა სახლში თავს იყრიდა იმ დროის უმშვენიერესი ახალგაზრდობა, გაისმოდა სიმღერა, მარიამის ლექური. ასე მიდიოდა კვინიტაძეების კვირა დღეები. მაგრამ მუხთალმა ბედმა ამ ოჯახს მოსტაცა მშვენიერი მარიამი... მას თან გადაჰყვა გამდელი ბაბალეც... ამ ბედის წერას უძლოდა გენერალი გორგი კვინიტაძე.

სულით არისტოკრატი, ფაქიზი, უმწიკვლო ბუნების პატრონი, შესანიშნავი ქართველი მხედარი, რომლის მარჯვენას და ხმალს მრავალი გამარჯვება მიეკუთვნება.

- იშვიათი მეგობარი, მხნე, გაუტეხელი, შეუპოვარი ბუნების ვაჟკაცი, ეროვნული სულით და გულით მოაზროვნე; ძვირფასი მამა და მეუღლე... დღეს „შატუს" სახლი თეთრად არის შეღებილი... ეზოს ირგვლივ ყვავილებია გადაშლილი. ეზოში გაისმის შვილიშვილების ჟრიამული... მას აკლია მხოლოდ „იყალთოს ვარდი"...

თქვენ ჩემო დიდო ბატონო გიორგი 96 წელი გისრულდებათ. იცოცხლეთ და იდღეგრძელეთ კიდევ დიდხანს.

დამოუკიდებელ საქართველოს მხედართ მთავარს, რომელიც თბილისის ბჭეს ამოწვდილი ხმლით იცავდა, ჯერ კიდევ ბევრი აქვს სათქმელი.

**თამარ პაპავა**

## ქართული ახალგაზრდობა უცხოეთში

ამ თემაზე წერა თავში არ მოგვივიდოდა, რომ გულის ტკივილით არ წაგვეკითხა ბ-ნ ვ. ნოზაძეს ბარათი, მიმართული ბ-ნ კონსტანტინე გამსახურდიასადმი, რომელიც გამოქვეყნდა რუსული იმპერიალიზმის ქართულ ენაზე გამომავალ საპროპაგანდო გაზეთ „სამშობლოს ხმაში".

ჩვენი შინაური ამბავი ქუჩაში იქმნა გამოტანილი და ამას პასუხი უნდა გაეცეს.. ვინ იცის, შეიძლება ბ-ნ ვ. ნოზაძეს აზრს სხვაც იზიარებრეს... მიუხედავათ იმისა, რომ ავტორის მოსაზრებები მეტად უსუსურია. ვწუხვარ, რომ ჩემს მეგობარ ვ. ნოზაძეს ასეთი მარცხი მოუვიდა... მის გამოცდილებას მეტი სიდინჯე მოეთხოვება.

წერილის შინაარსი ამნაირია: ბ-ნი ვიქტორ ნოზაძე აღნიშნავს რა უცხოეთში დაბადებულ ქართველი ახალგაზრდობის **გადაგვარებას** და მის **არარაობას,** ამ მოსაზრებით ამართლებს იმ ფაქტს, რომ მის ძმას ბ-ნ გიორგი ნოზაძეს შვილი არა ჰყავს. ჩვენ რომ ადვილ გამარჯვებას ვეძებდეთ, ავტორს ამ ფაქტშიც შევედავებოდით და უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენებდით...

თავის დროზე ბ-ნ ვ. ნოზაძეს წერილმა დიდი გულის წყრომა და დიდი აღელვება გამოიწვია ქართველ დედებში... ჩვენ არ უარვყოფთ, რომ უცხოეთში დაბადებულმა ქართველმა ახალგაზრდობამ **კარგი ქართული არ იციან,** ზოგმა კი სულ **არ** იცის. მაგრამ საფრანგეთის და სხვა ქვეყნების კულტურა ძლიერია, ქართუელ ბავშვებს ყრმობიდანვე უხდებათ უცხო ბავშვებთან თამაში, გართობა, მერე სკოლა და სხვ. ამ გარემობასთან შებრძოლება ქართველი მშობლების ძალას აღემატება, ეს არის ჩვენი ეროვნული ტრაღედია და ქართველი პატრიოტების მიერ ჩვენი ეროვნული უბედობის მტრის გაზეთ „სამშობლოს ხმაში" გამოტანა", შეცდომათ მიგვაჩნია, მეტი რომ არა ვთქვად... მართალია ბ-ნ ვ. ნოზაძეს ეს წერილი „ს. ხ." რედაქციისათვის არ გაუგზავნია, მაგრამ ტექნიკური გზა, არ ანთავისუფლებს წერილის ავტორს პასუხისმგებლობისაგან... ჩვენ ვებრძვით აზრების უსამართლობას. ქართველებს ერთი ანდაზა გვაქვს: „კაცი ომში მიდიოდა, ცოლი ომს ასწავლიდაო" — ასე ემართება ჩვენს თანამებრძოლს ბ-ნ ვ. ნოზაძეს.

უსათუოდ ქართველი ახალგაზრდობა უაღრესად პატრიოტულია, მათ სამშობლო ინსტიქტიურად უყვართ. მათ კარგად იციან თავიანთი ნაკლი, იციან. რომ უცხოეთი მათ ეროვნულ ფორმაციას ხელს უშლის, ისიც იციან, რომ სამშობლო რეალური ამბავია, ამიტომ ჩვენი ვალია მათ დავეხმაროთ და არა ხელი ვკრად და **მტრის** გაზეთში ვამხილოდ და მათში ნაკლის მეტი ვერაფერი დავინახოთ.

ოც წელზე მეტია ჩვენი ახალგაზრდობის გარეშე, მათ დაუხმარებლად ჩვენი ეროვნული დღესასწაული — 26 მაისი არ ჩატარებულა.

თვით შობის დღე **მათი** შემწეობით ტარდება, ისინი აძლევენ ეშხსა და სილამაზეს... ამ ახალგაზრდობის გარეშე ჩვენი ეროვნული დღესასწაულები ვერ გაიმართებოდა. ისინი გვაძლევენ მორალურ ძალას და სიმხნევეს. ხანდაზმული თაობა მათ ენერგიას ინარციულად მიჰყვება, ამის გარეშე ხომ ჩვენი ცხოვრება მოკლებული იქნებოდა ყოველგვარ შინაარსს.

ქართველი ბავშვები ინსტინქტიურად ჩვენი ცხოვრების და ტრადიციის გამგრძელებლები არიან. მოვიყვანთ საკუთარი თვალით ნახულ სულ უბრალო მაგალითს: აიღეთ ხუთი ქართველი ბავშვი და ხუთი ფრანგი. მოხარშეთ სიმინდი და მიართვით, მაშინვე დაინახავთ, ქართველი სიმინდს როგორ ხარბად დაუწყებენ ჭამას, ფრანგები ხელს არ მიაკარებენ. რამდენი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ რა საჭიროა...

თუ დროებამ გვიმუხთლა, ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებამ დაიგვიანა, ბ-ნ ვ. ნოზაძეს მიერ **აბუჩად** აგდებული ახალგაზრდობა არ შეგვარცხვენს და სამშობლოს წინაშე მოვალეობას პირნათლად მოიხდის. ჩვენ გვწამს ქართული სისხლის ძლიერება და მით უმეტეს ჩვენს მოძრავ საუკუნეში ეროვნული გადაგვარების პროცესები აღარა ხდება...

ეხლა მინდა „მარცხიან" ავტორს ჩვენი ქვეყნის ახლო წარსულიდან მოვაგონო: ქართველი ინტელიგენტები, სამხედრო პირები, კერძოდ აღმოსავლეთ საქართველოს წარჩინებული წოდების წარმომადგენლობა, განსაკუთრებით **ჩვენი უნივერსიტეტის მრავალი პროფესორი,** ქართულად ან სულ არ ლაპარაკობდა ან ძალიან მოიკოჭლებდა მათი ქართული ენა, მაღგამ მათ ქართული გული ვერავინ წაართვა და ეს რუსულად მოლაპარაკე და რუსულად მოაზროვნე მეცნიერები, თუ მხედრები გულწრფელად ჩაებნენ დამოუკიდებელი საქართველოს აღმშენებლობაში.

ბ-ნ ვ. ნოზაძეს ადრესატი, ბ-ნი ს. გამსახურდია ერთგან ამბობს: „იყო დრო, როცა თბილისში რუსთაველის ენას, მარტო მეკურტნე რაჭველები ლაპარაკობდნენო". ასეთია ბ-ნ ვ. ნოზაძეს წერილის რეაქცია...

მწამს ამ დარგში მარტო არა ვარ და სხა მშობლებიც ხმას აიმაღლებენ.

ვწუხვარ, რომ ამ წერილის დაწერა მომიხდა, მაგრამ ბ-ნ ვ. ნოზაძის ამაღელვებელ აზრებს პასუხი უნდოდა. ყოველ შემთხვევაში მე ამრიგად მეჩვენება...

**გრიგოლ წერეთელი**

**პარიზი, თებერვალი 1970.**

## ნინოობა ნიუ იორკში

იანვრის 25-ს, ბერძნების მართლმადიდებელ კათედრალში, ქართულმა სათვისტომომ გადაიხადა საქართველოს განმანათლებელი წმ. ნინოს სადიდებელი პარაკლისი.

ღვთისმსახურება შეასრულა დეკ. მამა გ. პაპადეამ. საეკლესიო ცერემონიის დასასრულს, მამა პაპადეამ სამასზე მეტ მსმენელს აუწყა წმინდა ნინოს ვინაობა და მის მიერ გავრცელებული სარწმუნოების დიდი როლი და დანიშნულება ქართველი ერის ცხოვრებაში.

მამა პაპადეას ქადაგებას ჩვენი მკითხველი ამავე გაზეთის ფურცლებიდან გაეცნობა და დარწმუნდება, თუ რა დიდი მეგობარი და ერთგული ღვთისმსახური შეიძინა ქართულმა სათვისტომომ დეკ. გ. პაპადეას სახით.

როგორც თითონ აცხადებს, ქართული სათვისტომოს ნაშვილობი ბერძენი მოძღვარი უაღრესი მცოდნეა საქართველოს წარსულის და მისი დიდი პროპაგანდისტი. ურიგო არ იქნება ქართულმა საზოგადოებამ ეს ამაგი დაუფასოს და ის ქართული საზოგადოების მუდმივ საპატიო წევრად აირჩიოს.

ღვთის მსახურებას თან მოჰყვა ტრადიციული სადილი, რომელიც ბერძნულსავე სასადილო „პარადაისში" გაიმართა. ლხინს ხელმძღვანელობდა (თამადობდა) ბ-ნი თ. ბაგრატიონი. ორმოცდა ათზე მეტი ქართველობა გვიან საღამოთი, მხიარული, ერისა და ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი გრძნობით დაიშალა.

ვაი იმ „გარექართველებს", რომლებიც საქართველოს გარე თუ შინა მტრების გავლენით თავს ისჯიან და სულიერ განსპეტაკებას იკლებენ. იკლებენ აგრეთვე შინაგან სიამოვნებას.

**დამსწრე**

ღრმა მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ იანვრის 27-ს, ნიუ იორკში, გარდაიცვალა

**დავით ჯაფარიძე**

„ქართული აზრის" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს და მეგობრებს.

**G. A. Press**

ღებულობს ყოველგვარ შეკვეთებს, როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე.

114 St. Mark's Place,
Tel.: 473 - 0240
New York 10009, N. Y.

საგაზეთო მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

*Mr. G. Djakeli*
***535 E. 78 Street,***
*New York, N. Y. 10021*

ამავე მისამართიდ უნდა გამოიგზავნოს შემოწირულებები.

*EDITOR IN CHIEF: M. Sindikeli.*
*EDITORIAL BOARD: G. Lolua, G. Zaldastani, W. Ssangulia, Dr G. Gabliani.*